განმარტებითი ბარათი

საკრებულოს დადგენილების პროექტზე

ცაგერის მუნიციპალიტეტის 2027 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“

ა) ზოგადი ინფორმაცია დადგენილების შესახებ:

ა.ა) დადგენილების მიღების მიზეზი:

დადგენილება მომზადებულია საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 24-ე და 91 მუხლების შესაბამისად და განსაზღვრავს 2027 წლის განმავლობაში მისაღები შემოსულობებისა და გასაწევი გადასახდელების მაჩვენებლებს.

ა.ა.ა) პრობლემა რომლის გადაჭრასაც მიზნად ისახავს დადგენილება:

საქართველოს კანონმდებლობის თანახმად მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი წარმოადგენს მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დამტკიცებულ, მუნიციპალიტეტის ფუნქციებისა და ვალდებულებების შესრულების მიზნით მისაღები შემოსულობების, გასაწევი გადასახდელებისა და ნაშთის ცვლილების ერთობლიობას.

ა.ა.ბ) არსებული პრობლემის გადასაჭრელად დადგენილების მიღების აუცილებლობა:

საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის და საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის თანახმად მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ დადგენილების პროექტის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს მიერ მომზადება და მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ განხილვა და დამტკიცება ხორციელდება ყოველწლიურად.

ა.ბ) დადგენილების პროექტის მოსალოდნელი შედეგი:

„საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის“ 77-ე მუხლის შესაბამისად, 2027 წლის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობების, გადასახდელების და ნაშთის ცვლილების დამტკიცება.

ა.გ) დადგენილების პროექტის ძირითადი არსი:

ძირითადი მაკროეკონომიკური მაჩვენებლები

ცაგერის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მაჩვენებლები დამოკიდებულია საქართველოში არსებულ მაკროეკონომიკურ მაჩვენებლებზე და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მაკროეკონომიკური პარამეტრების ზღვრების დასაცავად განსახორციელებელ ღონისძიებებსა და შეზღუდვებზე.

საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების მიერ 2027-2030 წლების ძირითადი ეკონომიკური და ფინანსური ინდიკატორების საბაზო სცენარის (2027 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ კანონპროექტის თანდართული მასალები) მიხედვით 2027 წლისთვის ნომინალური მშპ-ს ზრდის ტემპი განსაზღვრულია 8,9 პროცენტით. აღნიშნულიდან გამომდინარე მუნიციპალიტეტის 2027 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ დადგენილების პროექტში ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლით განსაზღვრული ასიგნებების ზრდა შეესაბამება საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 155^1 მუხლის 2-ე პუნქტის მოთხოვნებს.

ბიუჯეტის პარამეტრები

საგადასახადო შემოსავლები

საგადასახადო შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებლები ემთხვევა საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 77-ე მუხლის 6-ე და 6^1-ე პუნქტების გათვალისწინებით საქართველოს ფინანსთა სამინისტროდან მიღებულ საგადასახადო შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებლებს.

2027 წლის პროგნოზით მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლები ნომინალურ გამოხატულებაში 15092,0ათას ლარს შეადგენს. 2026 წლის გეგმიურ მაჩვენებელთან შედარებით 2027 წლის საგადასახადო შემოსავლების პროგნოზი იზრდება 1481,8 ათასი ლარით (10,9%-ით).

2027 წელს საგადასახადო შემოსავლების პროგნოზი გადასახადების სახეების მიხედვით შემდეგია:

- **დამატებული ღირებულების** გადასახადის საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 13692,0 ათასი ლარით;

  2026 წლის გეგმიურ მაჩვენებელთან შედარებით დღგ გაზრდილია 9,9%-ით (1231,8 ათასი ლარით). აღნიშნული მოცულობით ზრდა გამოწვეულია მიმდინარე წელს, დაგეგმილზე მაღალი ეკონომიკური ზრდის შედეგად მოსალოდნელი გადაჭარბების და მომდევნო წელს ეკონომიკის ნომინალური ზრდის ფისკალური ეფექტებით;

- **ქონების** გადასახადის საპროგნოზო მაჩვენებელი შეადგენს 1400 ათას ლარს;

  2026 წლის გეგმიურ მაჩვენებელთან შედარებით ქონების გადასახადი 12,7%-ით (250,0ათასი ლარით) იზრდება.

2027 წელს არასაგადასახადო შემოსავლების პროგნოზი გადასახადების სახეების მიხედვით შემდეგია:

- **გრანტების** სახით დაგეგმილი მაჩვენებლები განისაზღვრება 6728,2 ათასი ლარამდე, მათ შორის:

  - ✓ სხვა დონის სახელმწიფო ერთეულებიდან მისარები გრანტები 6728,2 ათასი ლარი;

- **შემოსავლები საკუთრებიდან განსაზღვრულია 470,0 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:**

  - ✓ პროცენტები 75,0 ათასი ლარი.

    2026 წლის გეგმიურ მაჩვენებელთან შედარებით პროცენტები 25%-ით (15,0 ათასი ლარით) იზრდება.

  - ✓ რენტა 180,0 ათასი ლარი;

    2026 წლის გეგმიურ მაჩვენებელთან შედარებით პროცენტები 2,9%-ით (5,0 ათასი ლარით) იზრდება. მცირედი ზრდა გამოწვეულია ბუნებრივი რესურსების მოსაკრებლის შემცირებით ვინაიდან, ბუნებრივი რესურების მოპოვებაზე გაცემულია ნაკლები ლიცენზია.

- **შემოსავლები საქონელისა და მომსახურების რეალიზაციიდან განსაზღვრულია 75,0 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:**
    - ✓ სანებართვო მოსაკრებლები 5,0ათასი ლარი;
    - ✓ მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის 20,0 ათასი ლარი;
    - ✓ შემოსავალი შენობებისა და ნაგებობების იჯარაში ან მართვაში (უზურფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან 50,0ათასი ლარი;

- **შემოსავლები სანქციები, ჯარიმები და საურავებიდან განსაზღვრულია 60,0 ათასი ლარის** ოდენობით, მათ შორის:
    - ✓ შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) ადმინისტრაციული სამართალდარღვევების გამო 50,0 ათასი ლარი;
    - ✓ შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაში გამოვლენილი დარღვევის გამო 10,0 ათასი ლარი;

  ამ სახეობაში ზრდა გამოწვეულია ადმინისტრაციული სამართალდაღვევების გამო, კერძოდ, საგზაო მოძრაობის წესების დარღვევისათვის.

- **შერეული და სხვა არა კლასიფიცირებული შემოსავლები განსაზღვრულია 80,0 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:**
    - ✓ შერეული და სხვა არა კლასიფიცირებული 80,0 ათასი ლარი;

- **არაფინანსური აქტივების კლების** (პრივატიზაცია) სახით მისაღები თანხების გეგმა შეადგენს 80,0 ათ, ლარს;

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახდელები

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახდელების მოცულობა შეადგენს 22370,2 ათას ლარს (2026 წლის დამტკიცებულ გეგმასთან შედარებით იზრდება 5016,1 ლარით).

აღნიშნული ზრდა გამოწვეულია შემდეგი ფაქტორებით:

- საჯარო სექტორში თანამშრომელთა ხელფასების ზრდა კარიერული სქემის შესაბამისად.
- სოციალური დაცვის პროგრამების გაზრდით,
- ინფრასტრუქტურული პროექტების დაფინანსების გაზრდით.

2027 წლის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილში ასახულია დამატებითი ხარჯები, მათ შორის თანამშრომელთა ხელფასების ზრდა კარიერული სქემის შესაბამისად. აღნიშნული გამომდინარეობს 2027 წლის სახლემწიფო ბიუჯეტის პროექტის გათვალისწინებით, რადგან 24-ე მუხლის 2-ე პუნქტით 2025 წელს, „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების

შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, დასაქმებულის საბაზო თანამდებობრივი სარგო განისაზღვრა 1,735 ლარის ოდენობით ნაცვლად 1 600 ლარისა.

პრიორიტეტების მიხედვით გათვალისწინებულია:

- **ინფრასტრუქტურის განვითარება - 4600,0 ათასი ლარი; მათ შორის:**
  - ✓ **საგზაო ინფრასტრუქტურის** განვითარება - 500,0 ათასი ლარი;

    ძირითადად განხორციელედება მუნიციპალიტეტის გზების მოვლა შენახვა და თოვლისაგან წმენდა.
  - ✓ **წყლის სისტემების** განვითარება -850,0 ატასი ლარი;

    განხორციელედება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წყლის სისტემების რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია, საკანალიზაციო სისტემის ექსპლუატაცია და რეაბილიტაცია, სანიაღვრე არხების ექპლუატაცია და რეაბილიტაცია, ქ,ცაგერი სრულად და ქვ.ცაგერი მოსახლეობის ნაწილის მიერ მოხმარებული წყლის ღირებულების ანაზღაურება(10კუბ.მ)
  - ✓ **გარე განათება - 540,0 ათასი ლარი;**

განხორციელედება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე განათების სისტემის მიერ დახარჯული ელექტრო ენერგიის ღირებულების გადახდა და ამავე სისტემის მოვლა-შენახვა.

  - ✓ **სარწყავი არხების** და ნაპირსამაგრი ნაგებობების მოწყობა, რეაბილიტაცია/ექსპლოატაცია - 200,0 ათასი ლარი;

    განხორციელედება მდ.ცხენისწყლის, ლაჯანურის და მათი შენაკადების ნაპირსამაგრი სამუშაოები.
  - ✓ **კეთილმოწყობის ღონისძიებები** პროგრამის ფარგლებში განხორციელდება ქალაქის იერსახის გაუმჯობესებისათვის საჭირო სამუშაოები, სადღესასწაულო დღეებისათვის ქალაქის გაფორმება, ქალაქის საკუთრებაში არსებული სხვადასხვა შენობების რეაბილიტაცია, საზოგადოებრივი სივრცეების მოწყობა, რეაბილიტაცია/ექსპლოატაცია და სხვა ღონისძიებები.
  - ✓ **საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო** დოკუმენტაციისა და სამშენებლო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობისა და ექსპერტიზის ხარჯები განსაზღვრილია 900,0 ათასი ლაი.

    პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის მიერ განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული სამუშაოებისთვის საჭირო საპროექტო დოკუმენტაციის დამზადების ხარჯებისა და ექსპერტიზის ხარჯების ანაზღაურება. ასევე, მოხდება სამშენებლო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობისათვის საჭირო ხარჯების ანაზღაურება. მუნიციპალიტეტის განაშენიანების გეგმის შედგენის ანაზღაურება.
  - ✓ **სოფლის მხარდაჭერის** პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიებები - 100,0 ათასი ლარი;

    პროგრამის ფარგლებში განხორციელდება სოფლებში ადგილობრივი გზების მოასფალტება და ორმული შეკეთება, სასმელი წყლის სისტემის, საკანალიზაციო სისტემის რეაბილიტაცია. სარწყავი არხების გაწმენდა-რეაბილიტაცია და სხვა. აღნიშნულის შესახებ გადაწყვეტილებას ირებს სოფლის კონკრეტული მოსახლეობა.

- **დასუფთავება და გარემოს დაცვა განისაზღვრა - 1320,0 ათასი ლარი; მათ შორის:**

- ✓ **დასუფთავება და ნარჩენების გატანა - 1320,0 ათასი ლარი**

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის სოფლების დაგვა-დასუფთავება და ნარჩენების გატანა, გარე ქსელის ბუნკერებიდან საყოფაცხოვრებო ნარჩენების შეგროვება და გატანა, მაწანწალა ცხოველების სპეციალურ თავშესაფარში გადაყვანა.

მოსახლეობისთვის ჯანსაღი და კომფორტული გარემოს შესაქმნელად აუცილებელია მუნიციპალიტეტის გამწვანება და ეკოსისტემის გაუმჯობესება. პროგრამის ფარგლებში მოხდება მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სკვერების მოვლა-პატრონობა.

კაპიტალური დაბანდებები დასუფთავების სფეროში - 50,0ათასი ლარი;

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება ნარჩენების შეგროვებისათვის საჭირო მანქანა/დანადგარებისა და ინვენტარის შეძენა.

- **განათლება - 2931,2 ათასი ლარი, მათ შორის:**
  - ✓ **სკოლამდელი განათლება - 2542 ათასი ლარი;**

2026 წელთან შედარებით თანხები გაზრდილია 216,6ათასი ლარით (9,3%), რაც გამოწვეულია პედაგოგების ხელფასების მატებით;

- ✓ **სკოლამდელი დაწესებულებების რეაბილიტაცია - 230,0 ათასი ლარი**

ამ პროგრამის ფარგლებში განხორციელდება საბავშვო ბაღის აღსაზრდელების გადაყვანა (80,0 ათასი ლარი და ბაღების მცირე რეაბილიტაცია 150,0 ათასი ლარი;ამავე პრიორიტეტში განხორციელდება დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში საჯარო სკოლების მოსწავლეთა ტრანსპორტირება და სკოლების მცირე რემონტი და მატერიალურ ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება.

- **კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი - 5148,5 ათასი ლარი მათ შორის:**
  - ✓ **სპორტის განვითარების ხელშეწყობა - 1400ათასი ლარი;**

პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია სპორტული სკოლების ფუნქციონირების ხელშეწყობა ჯანსაღი მომავალი თაობის აღზრდის მიზნით. ასევე, სპორტის სხვადასხვა სახეობაში გაიმართება ტურნირები მოყვარულ და პროფესიონალ სპორტსმენებს შორის, მოხდება სპორტული სკოლების უზრუნველყოფა საჭირო ინვენტარით. პროგრამა ითვალისწინებს ცაგერის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ წარმატებულ სპორტსმენთა და მწვრთნელთა დაჯილდოების ხარჯებს.

- ✓ **კულტურის განვითარების ხელშეწყობა**

პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტი განახორციელებს სახელოვნებო სკოლების, ბიბლიოთეკების, მოსწავლე-ახალგაზრდობის ცენტრის, მეგობრობის ცენტრის, მუზეუმისა და კულტურისა და ხელოვნების ცენტრის დაფინანსებას, უზრუნველყოფს მათი ფუნქციონირებისთვის საჭირო მატერიალური და ფინანსური ბაზის შექმნას. მუნიციპალიტეტის კულტურურლი ტრადიციების დაცვის მიზნით პროგრამის ფარგლებში გაგრძელდება სხვადასხვა კულტურული და დასვენების ობიექტის ფინანსური მხარდაჭერა, განხორციელდება სხვადასხვა კულტურული ღონისძიება, მათ შორის სადღესასწაულო დღეებში სხვადასხვა გასართობი და სანახაობრივი ღონისძიება

და სხვა. ასევე მოხდება მუნიციპალიტეტში მიმდინარე მოვლენების გაშუქება და პოპულარიზაცია მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით.

- ✓ **ახალგაზრდობის მხარდაჭერა**

  პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია მომავალი თაობის ფიზიკური გაჯანსაღების მიზნით ტურისტული ლაშქრობები. ასევე ახალგაზრდა თაობის ჩართვა მუნიციპალიტეტის ყოველდღიურ საქმიანობაში. ახალგაზრდების ინიციატივებით სხვადასხვა პროექტების განხორციელება და სხვა კულტურულ და გასართობ ღონისძიებებს.

- ➢ **ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა - 1280,0 ათასი ლარი, მათ შორის:**

  - ✓ **საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა - 250,0 ათასი ლარი;**

პროგრამა ითვალისწინებს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ფუნქციების დაფინანსებას, კერძოდ:· არსებობის შემთხვევაში ცოფის კერის ლიკვიდაცია და დაკბენილი მოსახლეობის ზუსტი აღრიცხვა, სასწრაფო შეტყობინების სისტემის დახვეწა და გაუმჯობესება; · დაავადებათა გავრცელების ეტაპობრივი შემცირება მისი კონტროლის გზით. ეპიდსიტუაციის გამწვავების დროული გამოვლენის ხელშეწყობა და მათზე სწრაფი რეაგირება, პროფილაქტიკურ ღონისძიებათა გატარება; · მუნიციპალიტეტის მოსახლეობაში არაგადამდებ დაავადებათა პრევენციის და ჯანმრთელობაზე მავნე ფაქტორების ზემოქმედებაზე მოსახლეობის ინფორმირების გზით ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა;

  - ✓ **სოციალური პროგრამები - 1030 ათასი ლარი; გათვალისწინებულია შემდეგი პროგრამების:**

    ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები სხვადასხვა სოციალური ჯგუფებისათვის საახალწლო საჩუქრების გადაცემა.

    - ერთჯერადი სოციალური დახმარების პროგრმა -5,0 ათასი ლარი
    - უსახლკარო ოჯახების მატერიალური დახმარება - 37,0ათასი ლარი
    - დიალიზზე დამოკიდებული პაციენტების დახმარება - 40,0ათ.ლარი
    - სამედიცინო მომსახურების დაფინანსება - 350ათასი ლარი
    - მრავალშვილიანი ოჯახები და ბავშვების, ახალშობილების შეძენის დაფინანსება - 130,0ათასი ლარი
    - ორსულთა კვებით დახმარების პროგრამა - 40,0ათასი ლარი
    - 0-დან 18წლამდე შშმ პირების მატერიალური დახმარება - 5,0ათასი ლარი
    - უპატრონი მიცვალებილთა სარიტუალო მომსახურება - 5,0 ათასი ლარი
    - ომის ვეტერანთა დახმარება - 14,0ათასი ლარი
    - მარტოხელა მშობლების დახმარება - 5,0ათასი ლარი
    - ობოლი ბავშვების ფულადი დახმარება - 8900ლარი
    - ხანდაზმულთა ფულადი დახმარება - 20,0ათასი ლარი

- უკიდურესად გაჭირვებული მოსახლეობისათვის საშობაო და სააღდგომო საჩუქრებით დახმარება - 9,0ათასი ლარი
- 9აპრილდ და ჩერნობილში დაზარალებულთა დახმარება - 1,2ათასი ლარი
- საწოლს მიჯაჭვული ავადმყოფებისათვის დამხმარე საშუალებებით უზრუნველყოფა - 7,0ათასი ლარი
- 0-დან 18 წლამდე შშმ პირებზე საჩუქრების გადაცემა - 7,0ათასი ლარი
- 6-დან 18 წლამდე შშმ პირების საკვირაო სკოლის დაფინანსება - 31,0ათასი ლარი
- პროფესიულ საწავლებელსი სწავლის მსურველთა ხელშეწყობა -20,0ათასი ლარი
- 0-დან 18 წლამდე ასაკის რეაბილიტაცია/აბლიტაციის საჭიროების მქონე ბავშვთა დახმარება - 50,0ათასი ლარი
- შშმ პირების თვითდასაქმების ხელშეწყობის სპოგრამა - 8,0ათასი ლარი
- სოციალურად დაუცველი მოსახლეობისათვის ზამთრის თბობისათვის ერთჯერადი ფულადი დახმარება - 60,0ათასი ლარი
- სოციალურად დაუცველი მოსახლეობის ყოველდღიური უფასო ერთჯერადი კვება - 150,0ათასი ლარი.

- **მმართველობა - 7090,5ათასი ლარი, მათ შორის:**
  - ✓ საკრებულოს დაფინანსება - ათა1960,7 ათასი ლარი;
  - ✓ მერია - 4509,8 ათასი ლარი;
  - ✓ სარეზერვო ფონდი - 100 ათასი ლარი;

მხარჯავი დაწესებულებების მიხედვით მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ასიგნებები შემდეგნაირად განისაზღვრება:

/ათასი ლარი/

პროგრამული კოდი	დასახელება	2027 წლის პროექტი
	სულ ჯამი	**22370,0**
01 01	საკრებულო	1960,7
01 02	მერია	4509,8
02 00	ინფრასტრუქტურის განვითარება	4600
02 01	საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება	500
02 02	წყლის სისტემები	850,0
02 03	გარე განათება	540,0
02 05	კეთილმოწყობის ღონისძიებები	1200,0
02 06	ქალქის განვიტარების გეგმის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო, ზედამხედველობის და ექსპერტიზის ხარჯები	900
02 07	სოფლის მხარდაჭერის პროგრამა	100,0
02 09	ტრანსპორტის სუბსიდირება	360,0
02 12	ა(ა)იპ ადმინისტრაციულ ერტეულებში ადგილობრივი თვითმმართველობის და ფერმერული მეურნეობის განვითარების და ხელშეწყობის ცენტრი	150,0
03 00	დასუფთავება და გარემოს დაცვა	1320
04 00	განათლება	2931,2
05 00	კულტურა,სპორტი,ახალგაზრდობა	5148,5
05 01	სპორტის განვითარება	1400
05 02	კულტურის განვითარება	3748,2

პროგრამული კოდი	დასახელება	2027 წლის პროექტი
06 00	ჯანმრთელობა და სოციალური უზრუნველყოფა	1280,0
06 01	ჯანმრთელობის დაცვა	250,0
06 02	სოციალური დაცვა	1030
06 02 04	ოჯახების და ბავშვების სოციალური დაცვა	880
06 02 05	სოციალურად დაუცველი მოსახლეობის კვებით უზრუნველყოფა	150,0

ცაგერის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდა ფუნქციონალურ ჭრილში

- *საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება - 7090,5 ათასი ლარი;*
- *ეკონომიკური საქმიანობა - 3450,0 ათასი ლარი;*
- *გარემოს დაცვა - 1320,0 ათასი ლარი;*
- *საბინაო-კომუნალური მეურნეობა - 1390,0 ათასი ლარი;*
- *ჯანმრთელობის დაცვა - 250,0ათასი ლარი;*
- *განათლება - 2931,2 ათასი ლარი;*
- *სოციალური დაცვა - 1030,0 ათასი ლარი;*
- *დასვენება, კულტურა, რელიგია - 4908,5ათასი ლარი.*

ცაგერის მუნიციპალიტეტის 2027 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ დადგენილების პროექტთან ერთად წარმოდგენილია:

1. მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტი (2027-2030 წლები);
2. ინფორმაცია 2026 წლის 9 თვის შესრულების შესახებ;
3. ინფორმაცია მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული ა(ა)იპ-ების შემოსულობების, გადასახდელების და ნაშთის ცვლილების შესახებ;
4. ინფორმაცია მე-6 მუხლის „ბ3.გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული სამთავრობო სექტორისთვის მიკუთვნებული სახელმწიფო საწარმოების მიერ საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული ნებისმიერი წყაროდან მისაღები შემოსულობების, გასაწევი გადასახდელებისა და ნაშთის ცვლილების შესახებ;

ცაგერის მუნიციპალიტეტის მერი: /ჭ.ჭაბუკიანი/

ცაგერის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე: /რ.ახვლედიანი/

ცაგერის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე: /მ.ლეთოდიანი/

საფინანსო საბიუჯეტო სამსახურის უფროსის მ/შ: /ქ.კოპალიანი/

ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსი: /ი.ბურჯალიანი/